პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 6 აპრილი № 80 (16817) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების

ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1977 წლის ივნისში მთავრდება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთხუთმეტე მოწვევის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას — 1977 წლის 19 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 5 აპრილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განუხრელად დავიცვათ შრომის კანონმდებლობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 13 მარტის დადგენილება „სამუშაოდან მშრომელთა დათხოვნისას რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ“ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შესაბამისი დასკვნები ვერ გამოუტანიათ დადგენილების მოთხოვნებიდან. სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ პირთა რიცხვი კვლავინდებურად დიდია.

ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის მრავალი დარღვევის შემთხვევაა გამოვლენილი სამომხმარებლო კოოპერაციის, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში, საავტომობილო ტრანსპორტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების სისტემაში.

შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები მრავალად არის — ხშირად ითხოვენ ხოლმე მუშაკებს პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თანხმობის უქონლად. მაგალითად, 1976 წელს, მუშათა და მოსამსახურეთა ყოველი მესამე დათხოვნა ხდებოდა შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის მიღებამდე.

ხშირია შემთხვევები, როცა ადმინისტრაციის ინიციატივით უკანონოდ ითხოვენ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც მყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები. კერძოდ, ასეთი ფაქტები იყო ქუთაისში, გორში, ზესტაფონსა და თელავში.

დათხოვნისას არ იცავენ ხოლმე სპეციალურ გარანტიებს, რომლებიც დაწესებულია პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრებისათვის, არღვევენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის კანონის მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა არასრულწლოვან მუშა-მოსამსახურეებს ითხოვენ მათი განცხადების საფუძველზე და, საკითხს არ უთანხმებენ, როგორც ამას კანონი მოითხოვს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელებმა ხულ არ იციან სამართლის საფუძვლები, ზოგიერთი შემთხვევაში კი პოლიტიკურად მოუმწიფებლებიც კი არიან, ამამხნჯებენ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების შესახებ, უხეშ დარღვევებს უშვებენ სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისას. მაგალითად, ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის კვებაჭრობის ადმინისტრაცია ფორმალურად მიუდგა ვაჭრობის სფეროში ქალთა მაქსიმალური ჩაბმის შესახებ დირექტიული ორგანოების მითითებათა შესრულებას, და უსაფუძვლოდ გაათავისუფლა მაღაზიების დირექტორების თანამდებობიდან რამდენიმე მამაკაცი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზემდგომი სამეურნეო ორგანოები სუსტად უწევენ კონტროლს საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციების მიერ სამართლებრივი კანონმდებლობის დაცვას, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ პირებისადმი, რომლებიც სჩადიან ასეთ დარღვევებს. ბევრი სამინისტრო სუსტ შიდასაუწყებო კონტროლს უწევს კანონმდებლობის დაცვას მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას, არ სწავლობს მრავალი საჩივრის წარმომშობ მიზეზებს, უკანონო დათხოვნებისათვის არ ახორციელებს ღონისძიებებს მათს აღმოსაფხვრელად. შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხებს იშვიათად განიხილავენ სამინისტროების კოლეგიათა სხდომებზე.

არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილებისათვის მათზე დაკისრებულ ამოცანებს იურიდიული სამსახურები. სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ხელმძღვანელ მუშაკთა სამართლებრივ მომზადებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული სამეურნეო კადრების სამართლებრივი მომზადების კურსები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ამ საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას.

შრომის კანონმდებლობის დარღვევები აიხსნება აგრეთვე იმ ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით, რომლებმაც ზედამხედველობა და კონტროლი უნდა გაუწიონ შრომის კანონმდებლობის დაცვას.

პროფკავშირთა კომიტეტები და საბჭოები ყოველთვის როდი აძლევენ პრინციპულ შეფასებას მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებების შელახვის ფაქტებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და მათს აღმოფხვრას. პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას კანონიერების დაცვას, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასამართლოები ხშირად არ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს თანამდებობის პირებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ მოქალაქეთა უკანონო დათხოვნა, პროკურატურის ორგანოები კი, თავის მხრივ, რეაგირებას არ ახდენენ ასეთ ფაქტებზე. მაგალითად, 1976 წელს უკანონო დათხოვნების შესახებ სასამართლოთა მიერ განხილული 1873 საქმიდან, მხოლოდ 189 შემთხვევაში დაეკისრათ მატერიალური პასუხისმგებლობა დამნაშავე თანამდებობის პირთ, რომლებსაც გადაახდევინეს 27.570 მანეთი, მაშინ როდესაც ორგანიზაციებს 77.299 მანეთი აზღვევინეს.

ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოები არღვევენ შრომითი კონფლიქტების განხილვის ვადებს, აჭიანურებენ საქმეს. 1976 წელს საქმეთა 24,5 პროცენტი სახალხო სასამართლოებმა განიხილეს დადგენილი ვადის დარღვევით. სასამართლოები ჯეროვნად არ აფასებენ შრომითი დავის განსახილველად გამსვლელი პროცესების აღმზრდელობითს როლს, იშვიათად იწვევენ პროცესებში საზოგადოებრიობას.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს სახალხო სასამართლოებს პროფილაქტიკურ მუშაობას. ძალიან იშვიათად გამოაქვთ მათ კერძო განჩინება შრომის კანონმდებლობის დარღვევის საქმეთა შესახებ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მთელი წლის ვადაგლილობაში მხოლოდ ერთი კერძო განჩინება გამოიტანა. სახალხო სასამართლოები კონტროლს არ უწევენ მათ მიერ გამოტანილი კერძო განჩინებებისადმი რეაგირებას.

საქართველოს სსრ პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მუშაობის შესწავლასა და განზოგადებას, არ იღებენ მათი საქმიანობისა და პასუხისმგებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის კანონიერების დასაცავად. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ჭიათურის, ბოლნისის, მარნეულისა და სხვა რაიონების ადმინისტრაციული ორგანოებისადმი, სადაც ყველაზე ცუდი მდგომარეობაა შრომის კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებით.

პარტიის მთელი რიგი საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დაცვას, იშვიათად ისმენენ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს შრომის კანონმდებლობის დარღვევის აღსაკვეთად მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია გააძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი. მათ დაევალათ შეისწავლონ და განიხილონ შრომის კანონმდებლობის დარღვევის თვითეული შემთხვევა, მკაცრი პარტიული სახჯელი დაადონ დამნაშავე თანამდებობის პირთ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს დაევალათ გულდასმით გააანალიზონ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე შრომის კანონმდებლობის დაცვა, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა უფლებებისა და გარანტიების განუხრელ დაცვას, აღმოფხვრან მუშაკთა უკანონო დათხოვნის შემთხვევები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ შრომის კანონმდებლობის დაცვა და ყველა გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე განახორციელონ შესაბამისი მკაცრი ღონისძიებანი და ეს აცნობონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

საქართველოს სსრ პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლეს სასამართლოს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას კანონის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფისათვის, იმ თანამდებობის პირთაგან ზარალის ზღვევიანობისათვის, რომელთა მიზეზით მოხდა უკანონო დათხოვნა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაევალათ გააძლიერონ შრომის კანონმდებლობის პროპაგანდა, ფართოდ გაუწიონ პოპულარიზაცია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებაში შრომითი კოლექტივების დადებით გამოცდილებას, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ კრიტიკული მასალები შრომის კანონმდებლობის დარღვევათა ფაქტებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს დაევალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად სისტემატურად გააანალიზოს შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები და აცნობოს ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მიღებულია ცნობად, რომ საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის ბიუროს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, დამზადების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ განიხილეს საკითხები შროშის კანონმდებლობის დარღვევების შესახებ და განხორციელეს მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებანი. მიღებულია აგრეთვე ცნობად, რომ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს განიხილა საკითხი სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის იუსტიციის განყოფილების მუშაობის შესახებ და განახორციელა შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებანი.

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

შარშანდელზე უკეთ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). შაბათობის დღიანთვის გადდებული ვალდებულება იკისრა ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომჭრელთა ბრიგადამ, რომელსაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. რამენისთაველი ხელმძღვანელობს.

ნოვატორი ბრიგადის მოწოდებით შაბათობის დღეს დაზოგილი მასალით მუშაობა იკისრეს აგრეთვე მ. ქევხიშვილის, ე. ნაროვას და სხვათა ბრიგადებმა, ამასთან მათ გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვან.

16 აპრილს 3.500 ისნელი მუშა დადგება შრომის ვახტზე. ისინი 110 ათასი მანეთის პროდუქციას შექმნიან და ხუთწლედის ფონდში 14 ათას მანეთს გადარიცხავენ — 2 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე შარშანდელ შაბათობაზე.

20 ათასი

ენთუზიასტი

ბიათურა. (საკ. კორ.). ლენინური შაბათობის კარგი ტრადიცია აქვთ სამთოელთა ქალაქის მშრომელებს. აქ ახლაც განსაკუთრებით ემზადებიან ამ დღისათვის.

წინასწარი მონაცემებით შაბათობაზე 20 ათასი აკი გამოვა. ნახევარზე მეტი თავის ძირითად სამუშაოს გააკეთებს, დანარჩენები კი ხეებს დარგავენ, ჯართს შეაგროვებენ, დაეხმარებიან კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

16 აპრილს მანგანუმის ქალაქის მშრომელები შექმნიან 200 ათასი მანეთის პროდუქციას. შეაგროვებენ 50 ტონა ჯართს, 37 ათას მანეთს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში.

ხუთწლედის ფონდში

მაბარაძე. (საკ. კორ.). პაროროდუქტების კომბინატის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება, პურის ფქვილის გამოშვებისა — 103,4 პროცენტით, ხოლო კომბინირებული საკვების გამოშვების გეგმა — 115 პროცენტით, სახელმწიფომ მიიღო ათობით ათასი მანეთი მოგება.

— ჩვენი კოლექტივი მთელი მონდომებით ემზადება კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, — თქვა ჩვენთან საუბარში კომბინატის დირექტორმა ლ. ხავთასმა, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 102 კაცი.

შაბათობაზე შესრულდება 8.500 მანეთის სამუშაო, აქედან 500 მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება.

დამკვრელური ბრიგადები

ცხინვალი. (საკ. კორ.). ელექტროვიბრომანქანების ქარხნის ყველა მუშა ერთხულოვნად გამოვა წითელ შაბათობაზე. მათი მიზანია ამ დღეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით.

16 აპრილს 253 კაცი უშაულოდ წარმოებაში იქნება დასაქმებული და აწარმოებენ 12,8 ათასი მანეთის პროდუქციას. მარტო მექანიკურ-საამქროს უბნის კოლექტივი აწარმოებს 9 ათასი მანეთის პროდუქციას. მთელს ოლქში სახელგანთქმული მუშების ა. გათოევის და ო. ბოლოევის ბრიგადებმა ივალდებულეს შაბათობის დღის დავალება 130 პროცენტით შეასრულონ. ამ ბრიგადებმა უკვე გადაარბენეს. შეასრულეს პირველი კვარტალის საწარმოო დავალება.

20 ათასი

ენთუზიასტი

ბიათურა. (საკ. კორ.). ლენინური შაბათობის კარგი ტრადიცია აქვთ სამთოელთა ქალაქის მშრომელებს. აქ ახლაც განსაკუთრებით ემზადებიან ამ დღისათვის.

წინასწარი მონაცემებით შაბათობაზე 20 ათასი აკი გამოვა. ნახევარზე მეტი თავის ძირითად სამუშაოს გააკეთებს, დანარჩენები კი ხეებს დარგავენ, ჯართს შეაგროვებენ, დაეხმარებიან კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

16 აპრილს მანგანუმის ქალაქის მშრომელები შექმნიან 200 ათასი მანეთის პროდუქციას. შეაგროვებენ 50 ტონა ჯართს, 37 ათას მანეთს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში.

ხუთწლედის ფონდში

მაბარაძე. (საკ. კორ.). პაროროდუქტების კომბინატის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება, პურის ფქვილის გამოშვებისა — 103,4 პროცენტით, ხოლო კომბინირებული საკვების გამოშვების გეგმა — 115 პროცენტით, სახელმწიფომ მიიღო ათობით ათასი მანეთი მოგება.

— ჩვენი კოლექტივი მთელი მონდომებით ემზადება კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, — თქვა ჩვენთან საუბარში კომბინატის დირექტორმა ლ. ხავთასმა, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 102 კაცი.

შაბათობაზე შესრულდება 8.500 მანეთის სამუშაო, აქედან 500 მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება.

მომჯირნედ, ყაირათიანად

სოხუმი. (საკ. კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი მხურვალედ გამოხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ.

კომბინატის მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათი გადაწყვეტილებაა 15 აპრილს დაამზადონ 5.500 წყვილი ფეხსაცმელი, აქედან 200 წყვილი დაზოგილი მასალისაგან. ამ დღეს სულ გამოუშვებენ 24 ათასი მანეთის პროდუქციას. განზრახულია ამ დღის ხელფასი მთლიანად გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში.

გ. ბერსამიას. ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მთავრობის თხუთმეტი ჯილდო უმშვენებს მეერდს თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ მეინსტრუმენტე ზეინალს იოსებ გაბიტაშვილს. საწარმოს მუშაკის შრომის ეხოდენ მაღალი შეფასება მას ბევრს ავალებს. კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშაობს ინსტრუმენტული საარქროს ექსპერიმენტულ უბანზე, იგი ბევრი ძვირფასი წინადადების ავტორია.

წარმოებაში დანერგილი მისი რაციონალიზატორული წინადადებანი საწარმოს ყოველწლიურად 190 ათას მანეთს უზოგავს. ამ სფეროში ნაყოფიერი მუშაობისათვის იოსებ გაბიტაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიენიჭა.

საწარმოში მუშაობის ოცი წლის მანძილზე შექმნილ ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას იგი ახალგაზრდა მუშებს უზიარებს. მისი 30 აღზრდილი უკვე დამოუკიდებლად მუშაობს და ისევე უყვარს თავისი პროფესია, როგორც მათ დამრიგებელს.

სურათზე: მოწინავე მეინსტრუმენტე ზეინალი იოსებ გაბიტაშვილი.

ვ. მორგაუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ — ტუნისის მოლაპარაკება

5 აპრილს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს მოლაპარაკება ჰქონდა ტუნისის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან, სოციალისტური დუსტურის პარტიის გენერალურ მდივანთან ჰედი ნუირასთან, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვში.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ტუნისის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების საკითხები. მხარეებმა დააფასეს, რომ კელავაც განამტკიცებენ ორი ქვეყნის თანასწორუფლებიან თანამშრომლობას საბჭოთა და ტუნისელ ხალხების საკეთილდღეოდ.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ მაჯი პოზიციები ამ საკითხზე ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა და დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ენერგიული ღონისძიებანი ამ რაიონში მდგომარეობის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მისაღწევად.

(საკადესი).

□

მიფრინავს „მეტეორი“

საკადესის ცნობა

1977 წლის 5 აპრილს საბჭოთა კავშირში გაეშვეს დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის ძირითადი ამოცანაა ამინდის ოპერატიული სამსახურისათვის გამოსაყენებელი მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა.

თანამგზავრზე დადგმულია მეტეოროლოგიური აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწის ღრუბლის და ღრმის მხარეებზე ღრუბლიანობის, თოვლის საფარის გამოსახულების მიღებას, აგრეთვე მონაცემების მიღებას დედამიწისა და ატმოსფეროს მიერ არეკლილი და გამოსხივებული სითბური ენერგიის შესახებ.

მეტეოროლოგიური აპარატურის გარდა თანამგზავრ „მეტეორზე“ არის: სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამგზავრის მუდმივ ორიენტაციას დედამიწისადმი, ელექტრომომარაგების სისტემა, რომელსაც აქვს მზის მიმართულებით მზის ბატარეების ავტონომიური ორიენტაცია, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

წვრთნა დამთავრდა

5 აპრილს კოსმონავტის, ოდესისა და ნიკოლაევის რაიონში დამთავრდა საჯარისო წვრთნა.

წვრთნის წინაშე დასახული მიზნები მიღწეულია.

ჯარები, რომლებიც წვრთნაში მონაწილეობდნენ, დაბინავების ადგილებს უბრუნდებიან.

მეგობრული შეხვედრა

მოსკოვი. 5 აპრილს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული შეხვედრა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ფიდელ კასტრო რუსთან. სურათზე: საუბრის დროს.

საკადესი-საქინფორმის ტელეფოტო.

5 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული შეხვედრა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ფ. კასტრო რუსთან. საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, აგრეთვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. რუსაკოვი და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი; კუბის მხრივ — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. რ. როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მდივანი ო. სეინფუეგოსი და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე რ. ვალდეს ვეგა.

მოლაპარაკების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირ-კუბის ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ბევრი საკითხი.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მსოფლიოს ყველა რაიონზე მისი გავრცელების საკითხზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამედროვე განითარების დამახასიათებელი ნიშანი ხდება მშვიდობის განმტკიცების ამოცანების სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამოცანებთან.

საუბარმა მეგობრობის, გულიოდობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

როცა შენების ვალ მცირდება

„თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტმა თავისი არსებობის 50 წლის მაძღლზე ჩვენი დედაქალაქის აღმშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. ავგო ახლი საცხოვრებელი მასივები, სადაც ათასობით თბილისელმა იზიმა ახალმოსახლეობა. ჩვენმა კოლექტივმა აიშენა ისეთი უნიკალური შენობები, როგორიც არის მარჯანიშვილის ოპერეტის სამეფო, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი და სხვ...

ტრესტის მშენებლებს არაერთი წარმატება მოუპოვებიათ, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლები, როცა მთლიანად გადაიფარა პირველი ორი წლის საგრძნობი ჩამორჩენა და ხუთწლედის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა.

მუშაობაში არსებითი გარდატეხა იმან განაპირობა, რომ შრომითი კოლექტივების მთელი საქმიანობა წარიმართა „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციერული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. ტრესტში გაბედულად ინერგება ყოველივე ახალი, პროგრესული, დიდი ყურადღება ექცევა კაპიტალდაბანდებათა ეფექტურ გამოყენებას.

დავნერგეთ მშენებლობის ნაკადური მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა მაქსიმალურად შეგვემცირებინა ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაცხვი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მიგვემართა მხოლოდ ექსპლოატაციაში ჩასაბარებელ ობიექტებზე.

ამან საგრძნობლად შეამცირა მშენებლობის ვადები. ახლა 9-სართულიან საცხოვრებელ სახლებს ვაშენებთ და ექსპლოატაციაში ვაბარებთ ნორმატიულ ვადაზე 3-4 თვით ადრე. სერიოზული ყურადღება ექცევა მშენებლების მეცნიერული მართვის საკითხებს.

მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით შემოვიღეთ კვირეულ-სადღეღამისო გრაფიკები. გაეუმჯობესდა კომპლექტაციის სამსახური, დამკვიდრდა დისპეტჩერული მართვა. გასაშვებ ობიექტებზე მუშაობა სამ ცვლად მიმდინარეობს. მაქსიმალურად ვიყენებთ მექანიზმებს. მაგალითად, თუ 1971 წელს ერთ კუბიკურ ამწეზე 2.000 კვადრატული მეტრი ჩაბარებული ფართობი და 314 ათასი მანეთის შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობი მოდიოდა, 1976 წელს 6.600 კვადრატული მეტრი ფართობი და 900 ათასი მანეთის შესრულებული სამუშაობი მოდიოდა. № 14 ტრესტში რესპუბლიკაში პირველად დაინერგა ცნობილი ზელენოგრადელი მშენებლის ნ. ზლობინის ბრიგადული იჯარის მეთოდი. პირველ კომპლექსურ ბრიგადებს სათავეში ჩაუდგნენ ცნობილი მშენებლები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. გალდავა და სოციალისტური შრომის გმირი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ჭელიძე. **ამჟამად ტრესტში 35 იჯარით მომუშავე ბრიგადაა. ეს ბრიგადების საერთო რაოდენობის 70 პროცენტია.**

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ტრესტის ბაზაზე შეიქმნა მუდმივმოქმედი რესპუბლიკური სკოლა, რომელიც ფართო პროპაგანდას უწევს მშენებლობაში ბრიგადული იჯარის დანერგვას.

შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად დაინერგეთ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, წარმოების პროგრესული მეთოდები და მასალები, მინიმუმამდე დავიყვანეთ მოცდენები, ყოველივე. ამან სათანადო შედეგიც გამოიღო, მეცხრე ხუთწლედის დირექტივიები გადაჭარბებულ 36-40 პროცენტის ნაცვლად გასული ხუთწლედის ბოლოს შრომის ნაყოფიერების ზრდამ ჩვენს ტრესტში 47 პროცენტი შეადგინა.

პარტიული კომიტეტი სერიოზულად ეკიდება პოლიტიკური განათლებისა და თავისი რიგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის საქმეს, ბევრი რამ კეთდება კომუნისტთა ავანგარდული როლის ასამაღლებლად. ეფექტურ სამუშაოს აწარმოებს ტრესტის სოციალისტური შეჯიბრების ცენტრალური კომისია (ხელმძღვანელი ტრესტის მმართველი გ. ქვეტიძე). პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სახინაო მშენებლობის ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბის სისტემატურმა დახმარებამ და კონტროლმა მშენებელთა შრომითს კოლექტივებში კარგი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო შექმნა.

ზემდგომი ორგანოების დახმარების, მუდმივი ყურადღების და ზრუნვის, ტრესტის სამიათასიანი კოლექტივის, დამკვეთის, ქვემოიჯარადრე და მომწოდებელი ორგანიზაციების თვითეული წევრის თავდადებული შრომის შედეგად უკანასკნელ წლებში ცოტა რამ როდი გაკეთდა სახინაო მშენებლობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და მოუგვარებელი საკითხია, რომელთა გადაჭრას მთელი ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ.

შემდგომ გაუმჯობესებახა და დახვეწას მოითხოვს მშენებლობის მართვის საქმე. სათანადო ყურადღება არ ექცევა მშენებლობის წინასწარ მომზადებას, პერსპექტიულ საკითხებზე ზრუნვას, ხშირად ირღვევა მასალების და კონსტრუქციების მოწოდების გრაფიკები, ეს ნაკლოვანებები შემდგომ უთუოო სწორდება ხოლმე, მაგრამ უკვე იერიშობასის იწვევს.

ვერა და ვერ აღმოიფხვრა ფორმალიზმი და ზერელეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველა ტიმსრულებელი მინდობილ საქმის მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება. ჩვენი მუშაობის ძირითად ნაკლოვან მხარედ შესრულებულ სამუშაოთა ჯერ კიდევ დაბალი ხარისხი და დეფექტების აღმოფხვრის გაჭიანურება მიგვაჩნია.

მაგრამ აქვე გვინდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კოლექტივები იფარო მაღალ შედეგებს მიაღწევდნენ ზოგიერთი ხელისშემშლელი მიზეზი რომ არ არსებობდეს. მაგალითად, **ვერ იქნა და ვერ მოიკიდა ფეხი ორიოლთა გამოცდილებამ — ორწლიანი დაგეგმარების მეთოდმა, რაც მშენებლებს საშუალებას აძლევს სწორად გაანაწილონ ძალები, რესურსები და უფრო მეტი პერსპექტიულ საკითხებზე. შრომის ორგანიზაციაზე იფიქრონ.** სამწუხაროდ, ეს ჯერ-ჯერობით ერთეულ მაგალითებზე ხორციელდება. ეს ამ ამოცანის გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ზოგად მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის სპეციალიზებული წარმოების განვითარების დაჩქარების, ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მანქანათსაშენებელ და სხვა სამინისტროებს, რომელთა საწარმოებშიც მზადდება ასეთი პროდუქცია, 1977-1980 წლებისათვის დაწესებული აქვთ დავალებანი, რომ გამოუშვან ასეთი პროდუქციის ძირითადი ხახეობანი და განავითარონ მისი სპეციალიზებული წარმოებისათვის საჭირო სიმძლავრენი. წარმოების დაჩქარებული განვითარება და მისი კონცენტრაციის ღონის ამაღლება უნდა ხორციელდებოდეს სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

დადგენილებით დამტკიცებულია ზოგადმანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის ნუსხა. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იმ სამუშაოთა კონცენტრაცია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის ცენტრალიზებული წარმოების დარგში განხორციელდეს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. გათვალისწინებულია საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ წარმოების განვითარების დაგეგმვისათვის მუშაობის დონის ამაღლებას, შესაბამის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უფრო ზუსტ განსაზღვრას და მისი განაწილების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, სხვა მანქანათსაშენებელი სამინისტროების მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ზოგადმანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის კომპლექსური სტანდარტიზაციის სამუშაოთა პროგრამა.

ოფიციალური განკოფილება

ზოგად მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებანი

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მანქანათსაშენებელი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განახლების საფუძველია. ამასთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყოფილ საწარმოთა მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება კიბერნეტიკური მოწყობილობით, რეგულატორებით, სხმულებით, ტვიფარებით, შესადუღი ლითონკონსტრუქციებითა და ზოგად მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა ნაწარმით, აუმაღლოოთ მათი ტექნიკური დონე და ხარისხი.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ზოგად მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის სპეციალიზებული წარმოების განვითარების დაჩქარების, ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მანქანათსაშენებელ და სხვა სამინისტროებს, რომელთა საწარმოებშიც მზადდება ასეთი პროდუქცია, 1977-1980 წლებისათვის დაწესებული აქვთ დავალებანი, რომ გამოუშვან ასეთი პროდუქციის ძირითადი ხახეობანი და განავითარონ მისი სპეციალიზებული წარმოებისათვის საჭირო სიმძლავრენი. წარმოების დაჩქარებული განვითარება და მისი კონცენტრაციის ღონის ამაღლება უნდა ხორციელდებოდეს სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

დადგენილებით დამტკიცებულია ზოგადმანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის ნუსხა. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იმ სამუშაოთა კონცენტრაცია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის ცენტრალიზებული წარმოების დარგში განხორციელდეს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. გათვალისწინებულია საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ წარმოების განვითარების დაგეგმვისათვის მუშაობის დონის ამაღლებას, შესაბამის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უფრო ზუსტ განსაზღვრას და მისი განაწილების გაუმჯობესებას.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სპეციალიზებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა წარმოების შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა კომპლექსურმა სატრანსპორტო პრობლემების ინსტიტუტმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკის 1976-1980 წლების სტრუქტურა, და ახლა, დადგენილებით ამ სტრუქტურის საფუძველზე დაწესებულია აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების წარმოების გადიდებისათვის საჭირო სიმძლავრეთა განვითარების დავალებანი. სიმძლავრეთა განვითარება დასახულია განხორციელდეს ძირითადად სააგტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში არსებული შესაბამისი სიმძლავრენი მეათე ხუთწლედში დარჩება.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და მთელ რიგ სხვა მანქანათსაშენებელ სამინისტროებს დაეკისრათ მეთაური ორგანიზაციების ფუნქციები ძირითად სახეობათა სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექმნისა და წარმოების საქმეში. მათ შორის არის ავეჯის, პურ-ფუნთუშეულის, მედიკამენტების, სხვაგვარი სამრეწველო და სასურსათო საქონლის გადასაზიდი (მათ შორის კონტეინერებით) ფურგონები, იზოთერმული ფურგონებით (მათ შორის სპობობძარიანი) და ტვირთამწევრბორტიანი ფურგონები, რეფრიჟერატორები, ავტომობილები მოსახსნელი ძრავ-კონტეინერებით, ჰიდრომაწიანი ავტომობილები, სათბობჩასასხმელი მაწყანები, ხე-ტყის საზიდები, პანელსაზიდები, ნაკეთობპროდუქტების, აქტიური ქიმიური ნივთიერებების გადასაზიდი ცისტერნები, ნახევარმისაბმელი ბამბასაზიდები, მშრალი საკვების, თხევადი ორგანული სასუქებისა და თხევადი საკვების გადასაზიდი მაწყანები, საშენ მასალათა საზიდი მაწყანები, აგრეთვე სხვადასხვაგვარი მისაბმელები და ნახევარმისაბმელები.

დადგენილებით გათვალისწინებულია დავალებანი, რომ 1978-1980 წლებში შეიქმნას და ათვისებულ იქნას 50 დასახელების ახალ სახეობათა სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერიული წარმოება (აქედან საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 40 დასახელებისა).

ყაზახეთის სასოფლო წყალსადენები

ყაზახეთში სს რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სოფლის დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად. ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებში დამთავრდა ინი-მისა და ბულაევსკის ჯგუფური წყალსადენების მშენებლობა, გრძელდება პრესნოვსკის, ბელოეოდოსკისა და ნურინის ჯგუფური წყალსადენების მშენებლობა, ამის შედეგად შესაძლებელი გახდა 700-ზე მეტი დასახლებული პუნქტის ცენტრალიზებული წყალმომარაგება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სოფლის დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სსრ კავშირის მელიორაციის სამინისტროსა და ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს დაუშვიდათ დავალება, რომ 1977-1980 წლების მანძილზე ყაზახეთში ამოქმედდეს 4 ათას კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 28 ჯგუფური წყალსადენი. ჯგუფური წყალსადენების მშენებლობა დაფინანსდება განსაკუთრებით დიდნაწილადენობის მშენებლობისათვის დადგენილი წესით. ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა გამოაყოს საჭირო კაპიტალდაბანდებანი მიმყვანი სოფლისშიდა-წყალსადენი ქსელების მშენებლობისათვის, რათა უზრუნველყოს მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა ჯგუფურ წყალსადენებზე. წყლის მიწოდების დრეისათვის, ჯგუფური წყალსადენების მშენებლობისათვის გათვალისწინებულია მილების, სატრანსპორტო საშუალებების, სამშენებლო ტექნიკისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა.

მდინარე ჩუს წყალი გაიწმენდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით მდინარე ჩუს აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული დადგენილებით ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეალათ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი იმ მიზნით, რომ მთლიანად შეწყდეს გაუწმენდავი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მდინარე ჩუს აუზის წყალსატევებში. იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც შედის საწარმოები, ჩამდინარე წყალს რომ უშვებენ მდინარის აუზის წყალსატევებში უნდა უზრუნველყონ ასეთ ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ, დანერგონ წარმოების პროგრესული ტექნოლოგია, რომელიც გამორიცხავს ბუნების გაჭუჭყიანებას, ფართოდ გამოიყენონ ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება და მრეწველობის ნარჩენების უტილიზაცია, აგრეთვე ააშენონ ეფექტიანი საწმენდი ნაგებობანი, უნენებელსაყოფი დანადგარები, ნაბრუნი წყალმომარაგების სისტემები. დაწესებულია დავალებანი, რომ მდინარის აუზში მდებარე მთელ რიგ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში აშენდეს საწმენდი ნაგებობანი.

სსრ კავშირის სახმომარაგებას დაეკალა განახორციელოს მდინარე ჩუს აუზში მდებარე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მშენებარე საწმენდი საკანალიზაციო ნაგებობათა, სხვა მოქმედ საწარმოთა და ორგანიზაციათა დაკომპლექტება მოწყობილობითა და მასალებით.

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი მდინარე ჩუს აუზის წყალსატევების მდგომარეობისა და სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა მიერ დასახული ღონისძიებების შესრულებისადმი, ყოველწლიურად განიხილონ მათი განხორციელების მიმდინარეობის საკითხი. (საკლესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

ბორში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის გაძლვლეს სხდომა. მოისმინეს საკითხი ქალაქის ბოსანლეობის სპეციალურ-კომუნალური მომსახურების ზედამარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ბორის მმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სპეციალურ-კომუნალური მეურნეობის ორგანოები ბევრ ღონისძიებას ახორციელებენ მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვანად გაიზარდა ძსიენებანი, რომლებიც ყოველწლიურად გამოიყოფა სპეციალურ ფონდისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და რემონტისათვის. სპეციალურ ფონდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ძირითადად დროულად წარმოების მასი რემონტი.

სხდომაზე ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ქალაქ ბორის მოსახლეობის სპეციალურ-კომუნალურ მომსახურებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მიუხედავად ამისა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი პირადულად სწავლობს და განიხილავს მოსახლეობის სპეციალურ-კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს და სახავს საჭირო ღონისძიებებს, ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად ეფექტიანია, ამ მუშაობაში სუსტად არიან ჩაბმული საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპუტატები, შესაბამისი მუდმივი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოსახლეობა.

განხილულ საკითხზე მუდმივმა კომისიამ მიიღო დადგენილება.

(საქინფორმი).

ხუთწლედი, მშენებელი, ვალდებულება

ღიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — ყურაღღების ცენტრში

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესწავლისათვის

სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა, სანინაო და საგარეო პოლიტიკის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებს შეეხება. მასში მოცემული დებულებები და დასკვნები პარტიისა და ხალხის, ჩვენი ქვეყნის მთელი იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია.

გათვალისწინებულ იქნა რა ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მას მიმართ მშრომელთა ფართო მასების უდიდესი ინტერესი, რეკომენდებულია მოეწყოს მისი შესწავლა პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიური განათლების ყველა ფორმაში. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უნდა შევისწავლოთ სკკპ XXV ყრილობის მასალებთან მჭიდრო კავშირში, თვითეული საგნის, სასწავლო კურსის შინაარსთან ორგანულ ერთიანობაში, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ როგორც მიმდინარე, ისე დასკვნითი მეცადინეობა.

სიტყვის შესწავლა დიფერენციულად უნდა მოეწყოთ, პარტიული და კომკავშირული სწავლების უმაღლეს რგოლში, ეკონომიური განათლების იმ ფორმებში, სადაც სპეციალისტები და ხელმძღვანელი კადრები მეცადინეობენ, სახალხო უნივერსიტეტებში მიზანშეწონილი. მსმენელებმა სიტყვის შინაარსი ღრმად შეისწავლონ დამოუკიდებლად და მისი ძირითადი დასკვნები განიხილონ სემინარული მეცადინეობის, თეორიული კონფერენციების პროცესში, მოსსენებების, რეფერატების, პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს, პარტიული სწავლების დაწყებით და საშუალო რგოლში, კომკავშირულ წრეებში, ეკონომიურ სკოლებსა და კომუნისტური შრომის სკოლებში უნდა მოეწყოს ერთი-ორი სპეციალური მეცადინეობა, როძლიც დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ საკითხებს:

1. სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა პარტიის დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია, მისი მიზანდასახულობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მასების შემოქმედებითი აქტივობის განსაგითარებლად.

2. ლ. ი. ბრეჟნევი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და ყველა უბანზე მეურნეობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის, სოფლის მეურნეობის განვითარების საარსებო საკითხების შესახებ. თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების ახალი ნიშნები და თავისებურებანი. შრომის დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელობა, სამუშაო დროის ეკონომია.

3. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანების განხორციელება. საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი დასვენების ორგანიზაცია. საბჭოთა ადამიანს — ყოველმხრივი და ყოველდღიური ზრუნვა, ყურადღება და გულისხმიერება.

4. ლ. ი. ბრეჟნევი სოციალისტური დემოკრატიის განვითარების შესახებ, სოციალიზმის ქვეყნების ეგრეთწოდებული „ადამიანთა უფლებების დაცვისა“ შესახებ ბურჟუაზიული პროპაგანდის მონაჭორის ფსუსურობა. ჭრომელთა მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრაში. საბჭოთა პროფკავშირები მართვის სკოლაა, მეურნეობის გაძღოლის სკოლაა, კომუნიზმის სკოლაა.

5. შრომელები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე შრომის მსოფლიო არმიის ერთიანობის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობა.

6. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის ამ პროგრამის სარეალიზაციოდ, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო. მოძმე სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. კაპიტალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობის ხასიათი. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტრუქციული წინადადებები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

„ეკონომიჩესკაია გაზეტა“ 1977, აპრილი, № 14.

სწავლასა და შრომაში წარმატებებისათვის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სწავლასა და შრომაში წარმატებებისათვის, 1976 წლის. სოციალისტურ ვალდებულებათა ჩინებულად შესრულებისათვის ამ უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს საპატიო ჯილდო პარტიული აქტივის კრებაზე გადასცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ჭითანავამ, მან მიულოცა ინსტიტუტის პროფესორებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს, უსურვა ახალი წარმატებები სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

პარტიული აქტივის კრებაზე მიიღეს უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის 1977 წლის დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები. (საქინფორმი).

ერთი დღე მეჭარხლეებთან

რეპორტაჟი

ჩინებულად იმუშავა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სოხუმის № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა მეათე ხუთწლედის პირველ წელს. 3ან გეგმის გადამეტებით გადაზიდა 33 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. წლის შედეგების მიხედვით სოხუმელმა ავტოტრანსპორტელებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და სრულიად საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

ამ სურათზე, რომელიც საქინფორმის კორესპონდენტმა ი. ჭოხონელიძემ გადაიღო, თქვენ ხედავთ სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელებს, რომლებიც სატვირთო ავტომობილებს 70-ზე მეტი მძღოლის მუშაობას უძღვებიან. ამირან კუხალაშვილი (მარცხნივ), მეოთხედი საუკუნეა მანქანებს რესპუბლიკის გზებზე ატარებს; აპოლონ ჭიკავა კი 33 წელიწადია სამუშაოთ. ისინი წელიწადში დაახლოებით 40 ათას კილომეტრს გადიან. მათი ბრიგადები შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი ერთმანეთთან და ჩინებულ შედეგებსაც აღწევენ. შარშან მათ კომუნისტური შრომის კოლექტივების წვდება მიენიჭათ.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ანგარიშვალდებულ ეკონომიკურ ეფექტიანობის ზემოქმედ

ლი როლის ასამაღლებლად. ეფექტურ სამუშაოს აწარმოებს ტრესტის სოციალისტური შეჯიბრების ცენტრალური კომისია (ხელმძღვანელი ტრესტის მმართველი გ. ქვეტიძე). პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სახინაო მშენებლობის ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბის სისტემატურმა დახმარებამ და კონტროლმა მშენებელთა შრომითს კოლექტივებში კარგი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო შექმნა.

ზემდგომი ორგანოების დახმარების, მუდმივი ყურადღების და ზრუნვის, ტრესტის სამიათასიანი კოლექტივის, დამკვეთის, ქვემოიჯარადრე და მომწოდებელი ორგანიზაციების თვითეული წევრის თავდადებული შრომის შედეგად უკანასკნელ წლებში ცოტა რამ როდი გაკეთდა სახინაო მშენებლობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და მოუგვარებელი საკითხია, რომელთა გადაჭრას მთელი ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ.

შემდგომ გაუმჯობესებახა და დახვეწას მოითხოვს მშენებლობის მართვის საქმე. სათანადო ყურადღება არ ექცევა მშენებლობის წინასწარ მომზადებას, პერსპექტიულ საკითხებზე ზრუნვას, ხშირად ირღვევა მასალების და კონსტრუქციების მოწოდების გრაფიკები, ეს ნაკლოვანებები შემდგომ უთუოო სწორდება ხოლმე, მაგრამ უკვე იერიშობასის იწვევს.

ვერა და ვერ აღმოიფხვრა ფორმალიზმი და ზერელეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველა ტიმსრულებელი მინდობილ საქმის მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება. ჩვენი მუშაობის ძირითად ნაკლოვან მხარედ შესრულებულ სამუშაოთა ჯერ კიდევ დაბალი ხარისხი და დეფექტების აღმოფხვრის გაჭიანურება მიგვაჩნია.

მაგრამ აქვე გვინდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კოლექტივები იფარო მაღალ შედეგებს მიაღწევდნენ ზოგიერთი ხელისშემშლელი მიზეზი რომ არ არსებობდეს. მაგალითად, **ვერ იქნა და ვერ მოიკიდა ფეხი ორიოლთა გამოცდილებამ — ორწლიანი დაგეგმარების მეთოდმა, რაც მშენებლებს საშუალებას აძლევს სწორად გაანაწილონ ძალები, რესურსები და უფრო მეტი პერსპექტიულ საკითხებზე. შრომის ორგანიზაციაზე იფიქრონ.** სამწუხაროდ, ეს ჯერ-ჯერობით ერთეულ მაგალითებზე ხორციელდება. ეს ამ ამოცანის გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ზოგად მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის სპეციალიზებული წარმოების განვითარების დაჩქარების, ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მანქანათსაშენებელ და სხვა სამინისტროებს, რომელთა საწარმოებშიც მზადდება ასეთი პროდუქცია, 1977-1980 წლებისათვის დაწესებული აქვთ დავალებანი, რომ გამოუშვან ასეთი პროდუქციის ძირითადი ხახეობანი და განავითარონ მისი სპეციალიზებული წარმოებისათვის საჭირო სიმძლავრენი. წარმოების დაჩქარებული განვითარება და მისი კონცენტრაციის ღონის ამაღლება უნდა ხორციელდებოდეს სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

დადგენილებით დამტკიცებულია ზოგადმანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი პროდუქციის ნუსხა. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იმ სამუშაოთა კონცენტრაცია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის ცენტრალიზებული წარმოების დარგში განხორციელდეს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. გათვალისწინებულია საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ წარმოების განვითარების დაგეგმვისათვის მუშაობის დონის ამაღლებას, შესაბამის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უფრო ზუსტ განსაზღვრას და მისი განაწილების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა ჩარხსაშენებელი და საინსტრ

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საქადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

6 აპრილი

კონკრეტული პოზიცია

კაირო (საკადესი). ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგებას საბჭოთა და ამერიკულ გეგმებს შორის უდიდესი განსხვავებაა. საკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული წინადადებები კონკრეტული და ნათელია. ისინი ითვალისწინებენ ისრაელის ჯარების გაყვანას ყველა დაოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, აგრეთვე პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების დაკმაყოფილებას, წერს ყოველკვირეული „როზ ელ-იუსფი“.

ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებაა, ნათქვამია სტატიაში, რომ ჟენევის კონფერენციის საბოლოო დოკუმენტს საფუძვლად დაედოს ომების გზით ტერიტორიების შეძენის შეუწყნარებლობის პრინციპები.

საკა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მხარი დაუჭირა ტიირანის სრულისა და აქაბის ყურეში, აგრეთვე სუეცის არხში ყველა გემის, მათ შორის ისრაელის გემების, გავლის თავისუფლებას მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება კრიზისის ყოველისმომაცველი მოწესრიგება, ამასთან დაადასტურა, რომ სუეცის არხი ეგვიპტის სუვერენიტეტს ეკუთვნებარება.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების მიმართ საბჭოთა კავშირის ნათელი და არაორაზროვანი პოზიციის საპირისპიროდ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ფრიად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივია და ბევრ განმარტებას მოითხოვს, ხაზს უსვამს ყოველკვირეული.

ეგვიპტის პრეზიდენტის ვიზიტი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, (საკადესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. სადათი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ ჯ. კარტერთან და სახელმწიფო მდივანთან ვენსთან.

პრესა განმარტავს ამ ვიზიტს და აღნიშნავს, რომ სადათი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან არაბ ლიდერთაგანია, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების გზების ძიებაში ვაშინგტონის გეზი აქვთ აღებული. კერძოდ აქ გახმაურდა სიტყვები, რომლებიც მან ამერიკის დედაქალაქში თქვა იმის შესახებ, რომ თეთრი სახლიდან „ძალზე შთამაგონებელი სიგნალები მიიღო“.

როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს პრესა, ამერიკის შეერთებულ შტატებს დღესაც არ ეტყობათ, რომ უარის თქმა აპირებდეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების ისრაელის პირობებზე, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემისადმი „შეწონასწორებული მიდგომის“ მისწრაფებას. უფრო მეტიც, ამერიკა-ისრაელის ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამკარად დაუჭირა მხარი ტელ-ავივის მოთხოვნას მისთვის ეგრეთ წოდებული „დაცვითი საზღვრების“ უზრუნველყოფის შესახებ.

ჯ. ვალდჰაიმის განცხადება

ნიუ-იორკი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერგალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა განაცხადა, რომ უნდა გაგრძელდეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ერთობლივი ღონისძიებანი სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვის მიზნით. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო გაერთიანება დაინტერესებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი შეთანხმების მიღწევით და მოუწოდა განაახლონ მეცადინეობა, რათა აიკრძალოს მასობრივი მოსპობის უახლეს სახეობათა იარაღი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მთელ კაცობრიობას.

კ. ვალდჰაიმმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ამ დარგში გაგრძელდება.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოწესრიგებას, კ. ვალდჰაიმმა იმედი გამოთქვა, რომ წელს განახლდება ჟენევის სახაო კონფერენცია.

ორმხრივ სასარგებლოდ

ხელი მოაწერეს სსრ კავშირ-ერაყის შეთანხმებას

ბაღდადი, (საკადესი). ბაღდადში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ერაყის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის 1975 წლის სამთავრობათაშორისო შეთანხმებისა და საბჭოთა კავშირ-ერაყის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის მე-7 სხდომის ოქმებს.

მიღწეულია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს ერაყის მყარი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში, ქალაქ სულეიმანის მარცვლეულის ელევატორის მშენებლობაში, ბაღდადის სამრეწველო სკოლის შექმნისა და გაზის მრეწველობის კომპლექსური განვითარების პროგრამის შედგენაში. კომისიამ დაადასტურა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ნავთობისა და ენერგეტიკის დარგებში, რომლისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ერაყისათვის. გადაწყდა 1978 წლის პირველ ნახევარში მოსკოვში გამართონ კომისიის შემდეგი მე-8 სხდომა.

რეაქციის წინააღმდეგ

რომი. (საკადესი). იტალიის კომუნისტური პარტიის საოლქო ფედერაციების ამ დღეებში მიმდინარე კონფერენციებზე განიხილავენ ქვეყანაში გამწვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში იტალიელი კომუნისტების ამოცანებს.

ლომბარდიაში პარტიულ კონფერენციაზე ჯამოსვლისას იტალიის კომპარტიის თავმჯდომარემ ლუიჯი ლონგომ მოუწოდა შექმნან ქვეყანაში მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რეაქციის ცდებს პროვოკაციულად გამოიწვიონ ქვეყანაში დაძაბულობისა და ძალადობის ვითარება, ძირი გამოუთხარონ რესპუბლიკურ წყობილებას. მარტო ქვეყნის ხალხის ფართო მასების, მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობა მოგვცემს შესაძლებლობას გამოვნახოთ გამოსავალი ახლანდელი კრიზისიდან თქვა მან.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველო მუშათა კლასმა შემდგომშიც განამტკიცოს კავშირი იტალიელ მშრომელთა სხვა რაზმებთან.

ფოტოობიექტივშია კუბა

კუბის პირველი ხუთწლედი (1976-1980 წლები) ქვეყნის საფეიქრო მრეწველობის განვითარების ფართო პროგრამას ითვალისწინებს. საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით რეკონსტრუირებული და მოდერნიზებული იქნება სახალხო მეურნეობის ამ დარგის საწარმოები, მათ შორის კუბაში უდიდესი საფეიქრო კომბინატი „არიგუანაბო“ პავანის გარეუბანში. ხუთწლედში გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი საფეიქრო ფაბრიკების მშენებლობა, რომლებიც წელიწადში 200 მილიონ კვადრატულ მეტრ სხვადასხვა სახის ქსოვილს გამოუშვებს.

*** * ***

სურათზე: კომბინატ „არიგუანაბოს“ ერთ-ერთი ხაამქროში.

საკადესის ფოტო.

ახალი დანიშვნები

ბრაზავილი. (საკადესი). კონგოს შრომის პარტიის სამხედრო კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნონ პოლკოვნიკი ჟ. ომობი-ოპანგო, იტყობინება რადიო „კონგოს რევოლუციის ხმა“. იგი გახდა აგრეთვე სახელმწიფოს მეთაური მარიან ნგუაბის ნაცვლად, რომელიც 18 მარტს მოკლა დაქირავებულმა მკვლელმა.

პოლკოვნიკი ჟ. ომობი-ოპანგო დაიბადა 1938 წელს. იგი კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. ვიდრე კონგოს შრომის პარტიის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნავდნენ მას ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები სახელმწიფო და პარტიული პოსტები, კერძოდ იყო კონგოს ეროვნული სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი, მეთაურობდა თავდაცვისა და უშიშროების სამმართველოს, იყო ტრანსპორტის სამმართველოს გენერალური დირექტორი.

კონგოს შრომის პარტიის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, რომელიც პასუხს აგებს პარტიის საქმიანობის კოორდინაციისათვის დანიშნეს დ. სასუ-ნგესო. იგი იქნება აგრეთვე ეროვნული თავდაცვის მინისტრი.

კონგოს შრომის პარტიის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს მეორე მოადგილე გახდა ლ. — ს. გომა. ისევე როგორც წინათ, იგი შეასრულებს კონგოს მთავრობის მეთაურის ფუნქციებს.

კონგოს შრომის პარტიის სამხედრო კომიტეტის ცნობაში მითითებულია, რომ პოლიტიკური პროგრამა, აგრეთვე ახალი მთავრობის შემადგენლობა უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

ქვეყანაში კვლავ სიმშვიდეა. უშიშროების ძალები განაგრძობენ იმ პირთა ძებნას, რომლებიც მონაწილეობდნენ მარიან ნგუაბის მკვლელობაში. კონგოს სახალხო რესპუბლიკის საზღვრები კვლავ ჩაკეტილია და ქვეყანაში მოქმედებს კომენდანტის საათი.

საკადესი ეროვნული ცნობები

სესია დამთავრდა

ჰელსინკი. აქ დამთავრდა ჩრდილოეთის საბჭოს 25-ე სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთის პრემიერ-მინისტრები, მთავრობათა წევრები, პარლამენტის დეპუტატები.

სესიაზე განიხილეს ჩრდილოეთის ქვეყნების თანამშრომლობის საკითხები ეკონომიკის, ენერგეტიკის, ინფორმაციისა და კულტურის დარგებში, აგრეთვე ჩრდილოეთ ევროპის უშიშროების პრობლემები.

მასწავლებლების გაფიცვა

ნიუ-იორკი. ამერიკის ქალაქ კანზას-სიტში მესამე კვირაა გრძელდება ორი ათასი მასწავლებლის გაფიცვა. გაფიცულები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოითხოვენ ახალი შრომითი შეთანხმების დადებას, რომელიც გაითვალისწინებს ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ნავთობი გაძვირდა

ბუენოს-აირესი. არგენტინაში გამოაცხადეს, რომ 88 პროცენტით გაძვირდა ნავთობი. ამასთან ერთად გაიზარდა სატრანსპორტო ტარიფები: ავტოტრანსპორტით მგზავრობაზე — 25 პროცენტით, რკინიგზით — 30 პროცენტით, მეტროთი — 22 პროცენტით.

ვიწისძვრა ბენდერ-აბასში

თეირანი. ძლიერი მიწისძვრა მოხდა ირანის სანავსადგურო ქალაქ ბენდერ-აბასში. რიხტერის სკალით 7 बალი ხიძლიერის მიწისქვეშა ბიძგმა ბევრი შენობა დაანგრია ამ ქალაქში, სადაც ამა წლის 22 მარტს უკვე გამოიწვია ზარალი მიწისძვრამ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ

ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ!



100 ᲬᲚᲘ შესრულდა საქართველოსა და ამერიკავკასიაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის თავდადებული ებრძოლის, პროფესიონალი რევოლუციონერისა და ნიჭიერი ჟურნალისტის პეტრე არონის-ძე პოლიუსუკის დაბადების დღიდან.

პ. პოლიუსუკი დაიბადა 1877 წელს. 1905 წლიდან, ბაქოში გადასვლის შემდეგ, მან მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა რევოლუციის საქმეს, კასპიისპირა ოლქსა და აზნაბაიში საგაფიცო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გახდა, აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ ამბებში. 1907-1910 წლებში პ. პოლიუსუკი არალეგალურად მუშაობდა ბაქოში, კასპიისპირა ოლქში, დაღესტანში. იგი აქტიურად ჩაება არალეგალური ლიტერატურის გამოცემაში, იყო ბოლშევიკური გაზეთების „პრიზივისა“ და „გუდოკის“ ბაქოელი კორესპონდენტი.

1910 წელს ბაქოში გამოვიდა სატირული ჟურნალი „ჯოჯოხეთის ფოსტა“, რომლის გამომცემელი და რედაქტორი იყო პ. პოლიუსუკი. ჟურნალის ფურცლებზე იგი ამხელდა ადგილობრივი ხელისუფლების მანკიერებას, მეფის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას. ამ მიზეზით ჟურნალი მალე აკრძალეს.

იმავე წელს პ. პოლიუსუკი თბილისში გადმოდის და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი რევოლუციურ მუშაობას ეწევა ქალაქის საწარმოებსა და ჯარის ნაწილებში, ხშირად გამოდის მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკური მოთხოვნების დასაცავად, თანამშრომლობს ბოლშევიკურ გაზეთ „კავკასსკი რაბოჩიში“. 1917 წლის დეკემბერში იგი გამოვიდა კავკასიის არმიის მეორე ყრილობაზე, გულისწყრომით ამხილა მენშევიკ-ესერთა ბლოკის მოღალატური როლი.

1918 წელს პ. პოლიუსუკი იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და ელადიკავკაზში (ორჯონიკიძეში) გადასულიყო, სადაც აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოში იგი ხელმძღვანელობდა შრომისა და მრეწველობის განყოფილებას, მეთაურობდა ბოლშევიკურ ფრაქციას.

1918 წლის აგვისტოში ვლადიკავკაზში მოხდა კონტრრევოლუციური ამბოხება, დაიწყო რეპრესიები ბოლშევიკთა წინააღმდეგ. თეთრგვარდიელებმა პ. პოლიუსუკი დააპატიმრეს და ციხეში ჩაგდებეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბოლშევიკურმა რაზმებმა იგი გათავისუფლეს სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად.

მძიმე ავადყოფობის მიუხედავად პ. პოლიუსუკი დიდ მუშაობას ეწევა სამრეწველო საწარმოების, ზეთსახდელი ქარხნების აღდგენისათვის, სამეფო სახლების პროდუქტებით მომარაგებისათვის.

1919 წლის დამდეგს იგი თბილისში ჩამოდის, სადაც აქტიურ რევოლუციურ მუშაობას განაგრძობს. მალე მენშევიკებმა იგი დააპატიმრეს „მთავრობის საწინააღმდეგო“ აგიტაციისათვის და გუბერნიის სასტიმროში ჩასვეს, საიდანაც იგი მხოლოდ 1920 წლის მაისში გათავისუფლეს საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად.

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ პ. პოლიუსუკი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის და მუშაობს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პასუხისმგებელ ინსტრუქტორ-ორგანიზატორად და ინფორმატორად, ქმნის გაზეთ „სოვეტსკი კავკაზის“ საკორესპონდენტო პუნქტს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უკვე მძიმედ დაავადებული პ. პოლიუსუკი თბილისში ბრუნდება. აქედან მას საკურორტოდ მიგზავნიან, სადაც 1921 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა 45 წლის ასაკში.

სიკვდილის წინ დაწერილ წერილში პ. პოლიუსუკი აღნიშნავს: „...სიკვდილის წინ ვფიქრობ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, 1905 წლიდან მოყოლებული, როცა პოლიტმებრძოლთა რიგებში შევედი, მოვაზმარე პატიოსან ბრძოლას შრომის განთავისუფლებისათვის და არც საქმით, არც ფიქრით არასოდეს არ მიღალატია მისთვის. მე არ მაშინებდა არც ერთი სიძნელე, ყოველ ღონეს ვხმარობდი მიზნის მიღწევისათვის. არასოდეს არ მითხოვია ანაზღაურება შრომისათვის, რადგან იდეას ვემსახურებოდი“.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდ პატივს სცემენ მებრძოლთა ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლას. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავს პეტრე არონის-ძე პოლიუსუკსაც, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა პარტიის, ხალხის საქმისათვის უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია.

მ. ᲑᲣᲠᲫᲔᲜᲘᲫᲔ,
სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი.
(საქინფორმი).

პ. ა. პოლიუსუკის დაბადების 100 წლისთავის გამო

□

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ, ᲞᲔᲓᲘ ᲬᲐᲚᲜᲘᲡᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დიდ თეატრში გაიმართა „ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ პრემიერა, რომელიც ნამდვილად აღფრთოვანა მსმენელები დრამატურგიის სოციალური სიმწვავითა და შთაბეჭდილი მუსიკალური გადაწყვეტით. სასიხარულოა, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს ჩვენმა ფამყანმა წესიერალურმა ერ-ერთი შომმე საბჭოთა რესპუბლიკის კომპოზიტორის მიერ შექმნილი თანამედროვე ოპერა დადგა.

„მთვარის მოტაცებაის“ ლიტერატურული საფუძველი გახდა კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანი, რომელიც საბჭოთა წყობილების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების წლებში ქართული სოფლის ცხოვრების დაძაბული ეიფორიას წარმოსახავს. ქართელი პროზის ერთიერთმა უდიდესმა ოსტატმა მკაფიოდ აღბეჭდა ძველი, ნახევრად ფეოდალური წყობილების მსხვრევის, ახალი ცხოვრების წესის შექმნის სურათები და იმ ადამიანთა განწირულება, რომლებმაც რევოლუციურ გარდაქმნათა არსი ვერ გაიგეს.

რთული, მრავალპლანიანი რომან-ეპოპეის მასალაზე ოპერის დაწერა უაღრესად ძნელი საქმეა. კომპოზიტორმა შეძლო შეექმნა ლიტერატურული სიუჟეტის საესებით დამოუკიდებელი საოპერო-დრამატურგიული ვარიანტი. მოქმედების ცენტრში არიან მწვავე, კომპლექტურ სიტუაციებში ნაჩვენები მთავარი გმირები; სოფლის ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, კომკავშირელი არზაყანი, მისი დედა და მამა — გლეხები, „ძველი ყაიდის“ ადამიანები, მისი ძმადნაფიცი, თავდადებული თარაში, მეგობელი ტიოელი და მისი ქალიშვილი თამარი. მათი ბედი მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული, ხოლო არზაყანისა და მამამისის შეტაკება, საუკუნოვანი საფუძვლებისა და ოჯახური ტრადიციების წინააღმდეგ ახალგაზრდა მთელის ბუნტი დრამის სიუჟეტური ცენტრი ხდება.

რომანის ეროვნულმა თავისთავადობამ, რომელიც მდიდარია ხალხის ცხოვრების ამსახველი ძირეული სურათებით, ბევრად განსაზღვრა ოპერის მუსიკალური კონცეფცია. საგანგებო სიმღერის, საცეკვაო რიტმების, ეოკალური მოტივებისა და ფუნქციების ორგანული შერწყმის გზით იშვა ამ ნაწარმოების რთული მუსიკალური ქარგა. ოთარ თაქთაქიშვილი აქ წარმოგვიდგება დიდ, ჩამოყალიბებულ ხელოვნად. — ეს არის მუსიკალური დრამისა და თანამედროვე მონუმენტური ორატორიის ჟანრებში მისი მრავალი წლის ძიებათა თავისებური შედეგი. ალბათ აქედან გამომდინარეობს ორატორიულობის ნიშნები, რომელსაც თავისუფლად ნერგავს იგი საოპერო პარტიტურაში, აქედან გამომდინარეობს ხალხური ცეკვისა და მასობრივი პლასტიკური მოქმედების დინამიკასთან სასიმღერო-საგუნდო საწყისის შთამბეჭდავი შერწყმა. თაქთაქიშვილი წარმოგვიდგება მაძიებელ ნოვატორად, რომელიც თავისებურად წყვეტს თანამედროვე საოპერო ფორმის პრობლემებს. ამას მოწმობს უძლიერესი ემოციური კონტრასტებიც, ნახევრად ფანტასტიკური ხედვებით რეალური ამბების ცვლის წმინდა პირობითი ხერხებიც (მე-3 აქტი), წმინდა ქორეოგრაფიულ პლანში ოპერის განვითარების გადატანის მოულოდნელი ეფექტებიც.

ნაწარმოების მუსიკალური ენა რთული შენადნობია, სადაც მკაფიოდ ჩანს ორი ძირითადი ხაზი: საოპერო და სიმფონიური წერის კლასიკურ ტრადიციებზე დაყრდნობილი რომანტიკული ხაზი და ეპიკური ხაზი, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები ხალხის ხელოვნებაში. კომპოზიტორი თავისუფლად და მოქნილად ავითარებს მუსიკის სულ სხვადასხვა, ზოგჯერ მკაფიოდ კონტრასტულ ელემენტებს, უნარიანად გარდაქმნის, „გადაადნობს“ მათ თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის ბრძმედში. ოპერაში დიდი როლი მიეკუთვნება ორკესტრს, რომელიც კლასიკურად მკაფიოდ არის გაგებული და თავისუფალია ყოველგვარი ბგერითი ზედმეტობებისაგან. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად თაქთაქიშვილის ოპერაში გამომსახველობის მთავარ საშუალებად მელოდია რჩება. ამ მელოდიით არის გამსკვალული მთელი ნაწარმოები.

ჩვენი დროის კომპოზიტორი, რომელიც ისწრაფვის გადმოგვცეს ადამიანის ღრმა გრძნობები, დასახიროს ხალხური ხასიათები, გაბედულად დაუბრუნდა დიდ, ძლერად ოპერის ტრადიციებს. მაგრამ მისი მუსიკა ცოცხლად და ახლებურად ეღერს, რადგან იგი არათუ იცავს ტრადიციას, ორამედ განაგრძობს და აეთვისებს მას. გმირთა მეტყველება ბუნებრივი და ალამაზებელია. მას საფუძვლად უდევს ის, რომ ავტორი ჩაუწვდა მათს შინაგან მდგომარეობას და არ გამოხატავს მხოლოდ გარეგნულ თეატრალურ სიტუაციას. ეს თანამედროვე მუსიკალური მეტყველება გამომსახველი, ზუსტი და პოეტური.

ოპერის მეგობელ პირთა შორის გამოირჩევა გლეხის — ზვამბაიას, მისი ცოლისა და ვაჟიშვილის ეპიკური ფიგურები. ეს ეს ორნი ხალხური სტიქიის ადამიანები, რომლებიც ძველთაგანვე სიძლიერით პოულობდნენ თავიანთ ბუსაკლურ გამოხატულებას. ამატომ ხალხური სიმღერა, ზოგჯერ ნამღერელ, ხშირად კი თვით კომპოზიტორის მიერ შეთხზულს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაწარმოებში. ავტორმა იგი ღრმად ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებად და დრამატული მოქმედების მძლავრ ფაქტორად გადააქცია. ასეთია დედის სიმღერები: იავნანა, გოდება და მოთქმა. ასეთია ორზაყანის სიმღერები, რომლებიც მის ხასიათს სულ სხვადასხვა მხრიდან წარმოგვიდგენს. — ხან უდარდელად მხიარულს, ხან დამატყვევებლად ნაღვლიანს, ხან მხნე მრომით სიმღერებს, ხან მუქავედ რიტმულ, გამორჩეულებელ „ლეკაკის სიმღერებს“. უნდა აღინიშნოს ის ოსტატობა, რომლითაც მათ ზურაბ სოტკილავა ასრულებს.

არანაკლებ მდიდარია ოპერის საგუნდო ეპიზოდები, ფრიად განსხვავებული თავისი დრამატურგიული ფუნქციებით: ზოგჯერ გუნდი მოქმედების უშუალო მონაწილედ, გლეხთა მასის განწყობილებებისა და ფიქრების გამომხატველად გვევლინება, ზოგჯერ კი ელლინური მიზეზი გაისმის როგორც უხილავი ფონი, დრამის ზოგად ატმოსფეროს. თუ გმირთა სულიერ მდგომარეობას რომ გამოვიცვლეს. დიდ ქებას ამსახურებს თეატრის საგუნდო კოლექტივი (ქორმაისტერები, ა. რუბინოვი, ი. აგაფონიკოვი და ს. ბუსეგი).

თუ შეეხებით ნაწარმოების უაღრესად სრულყოფილ მომენტებს, გამოვყოფდი ერთიანი მუსიკალური სუნთქვით დაწერილ მეორე აქტს. იგი არზაყანის სეკდიანი მელოდიით იწყება, რომელიც თამარისა და თარაშის დიდ სატრფიალო სცენაში გადადის, დედის მოსვლა, მისი სიძლერა, ვაჟიშვილისადმი შეგონება თავისებური მკაცრი სინაზითა და სილამაზით არის აღსავსე. ეს დიალოგი წყდება, როცა გაიფთრებული მამა გამოჩნდება. ზვამბაიას, რომლის სახე შთამბეჭდავად განასახიერა ე. ნესტერენკომ, ბგონია, რომ მისი კერის, მისი ცხოვრების წესის დანგრევით მთელი ქვეყანა ინგრევა. გამშმაკებულ წამოძახილებში, დედის მწუხარე მოთქმა რომ ახლავს, გაისმის ურჩი შვილის წყევლა-კრულვა და ადამიანის სასოწარკვეთა, რომელმაც თავისი არსებობის აზრი დაკარგა.

კულმინაციაა მე-2 აქტის ფინალიც — სახალხო დღესასწაული. თუ ამის წინ მუსიკაში გაბატონებული იყო ექსპრესიული ვოკალური დეკლამაცია, აქ პირველ პლანზე გამოდის ცეკვის შეუკავებელი სტიქია. მომხიბვლელ და გრაციოზულ სადღესასწაულო ცეკვას თანდათან ცვლის შავბნელი შურისმგებელი ძალების შმაგი გაბორკტება და თარეში. აქ აღვნიშნავთ საბალეტო დასის ოსტატობას (ცეკვების დამდგმელი გ. დარახველიძე). სპექტაკლის შთამბეჭდავ მომენტებს შორის დავასახელებდი ავგუსტე იარალის „ურთხლის“ ვაჟაცურ ეპიზოდს ბ-ბ აქტში და კარნავალის სცენის დასაწყისს, როცა ზვამბაიას ოჯახში ეს-ეს არის დაწყებული დრამა უეცრად საგზაფხულო ახალგაზრდული ლხინის იდუმალი და ოდნავ დანცარული მოტივებით „მოიხსნება“.

დაგეგმვის ხელმძღვანელმა ბ. პოკროვსკიმ უტყუარად ეგრძნო ნაწარმოების ამალლებული ხალხურ-ეპიკური წყობა. სპექტაკლში გამეფებულია ნასობრივი სულნობის სწრაფი დინამიკა, რომლებიც აღსავსეა ცეცხლით, გზნებით, ხალისიანი მოძრაობით.

ლამაზად და მრავალფეროვნად ჟღერს სოროკესტრო პარტია — ზუზი, ძარღვიანი მასობრივ ეპიზოდებში და უფრო გამჭვირვალე, თავშეკავებული და ძუნწი ფსიქოლოგიურ სცენებში (დირიჟორი ა. ლაზარევი). კაკაცსის პეიზაჟის რომანტიკული მშვენიერება აღბეჭდილია ე. ნესტერენკოს მხატვრულ გაფორმებაში. მხატვარი ცდილობდა მოეცა ძუნწი, ტკბილი დეკორაციული გადაწყვეტა და უარი თქვა ფეტიშურ ნატურალისტურ ელემენტებზე. ბევრ რამეს კარგად გაართვა მან თავი, თუმცა ზოგიერთი დეტალი ხელოვნურად მოგვეჩვენა, მაგალითად, ლამაზი ალაბაშტის პირობითი „გაორება“, რომელიც მთის სოფელს გამოხატავს.

უთქვეია სპექტაკლის სრულყოფა გაკრძელდება. ეტყობა, ესენი და დამუშავდეს ზოგიერთი მასობრივი სცენა: ზოგი რამ აქ მეტის მეტად ჭრელი, ქაოსური. ზოგიერთი შემსრულებლისადმი ძირითადი პრეტენზია დაუზეზავ დიქციას უკავშირდება — სიტყვები არ ისმის ხოლმე, და ამის გამო ვეღარ აღიქვამ იმის აზრს, რაც სცენაზე ხდება.

„მთვარის მოტაცებაში“ მონაწილეობს დიდი თეატრის მომღერალთა პრწყინვალე თანავარსკვლავედი. ე. ნესტერენკოსთან და ზ. სოტკილავასთან ერთად, რომლის ოსტატობა ბევრად წყვეტს მთელი დადგმის წარმატებას, გვიჩვენა ალენიშნოთ ლ. ნიკიტინა (დედა), მ. ქასრაშვილი (თამარი), ა. ოგნიცევი (ტარიელი) და თარაშის პარტიის ორივე შემსრულებელი — ი. გულიაევი და ი. მოროზოვი. ყოველი მათგანი ზუსტ სცენურ სახეს ქმნის, თავისი საკმაოდ რთული ვოკალური პარტიის საუცხო ინტერპრეტაციას იძლევა.

მთლიანად თეატრის კოლექტივმა გაგვახარა იმით, რომ ზედმიწევნით ჩასწვდა მუსიკის, ცეკვების, ოპერის სცენური მოქმედების ეროვნულ სპეციფიკას. მართალია, სათუოდ არის განსახილველი ქართული მელოსის, ხალხური ცეკვის, საგუნდო სიმღერის თავისებურებები. მთელი სპექტაკლი ეროვნულ კულტურათა ნაყოფიერი ნახატრული ურთიერთგამდიდრების ცოცხალი მაგალითია, რაც ესოდენ ახასიათებს დღეგანდელ საბჭოთა ხელოვნებას.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲕᲘᲠᲘᲓᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი. „პრავდა“, 5/IV-77 წ.



სურათებზე: მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ოპერა „მთვარის მოტაცების“ მთავარი პარტიების შემსრულებლები: ზემოდან — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. სოტკილავა (არზაყანი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. გულიაევი (თარაში), რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მ. ქასრაშვილი (თამარი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. ნესტერენკო (კაც ზვამბაია), რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ლ. ნიკიტინა (არზაყანის დედა).

ვლ. ᲑᲘᲜᲖᲣᲠᲘᲜᲘᲡ ფოტო („კომუნისტის“ სპეც. კორ.).

ძვირფასი სახე

ვაჟა ფშაველას უცნობი ფოტოსურათი

მოსკოვში სამეცნიერო მიღინებით ყოფნისას არქეოლოგ თამაზ კიღურაძეს იპოვა კოლეგამ, მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, კავკასიოლოგმა აღექსანდრე ფორმოზოვმა გადასცა ცნობილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დღემდე ჯამოუჭვეულებელი და საზოგადოებისათვის უცნობი ორი ფოტოსურათი, რომლებიც ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმში ცნობილი საბჭოთა არქეოლოგიისა და ანთროპოლოგის გ. ა. ბონჩ-ოსმოლოვსკის (1890–1943) პირად არქივში ყოფილა დაცული.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს გ. ბონჩ-ოსმოლოვსკის 1910 წლის ივნისში ფშავ-ხევსურეთში უმოგზაურია და ორჯერ შეხვედრია ვაჟა-ფშაველას, პირველად მწერლის მშობლიურ სოფელ ჩარგალში 27 ივნისს და მეორედ ლაშარობის დღესასწაულზე 29 ივნისს. გ. ბონჩ-ოსმოლოვსკის ეთნოგრაფიულ დღიურებში დიდი მწერალი ორჯერ იხსენიება. აი ერთ-ერთი ჩანაწერი: „ვნადირობ, ვიპერ კალშახს აინულივით ცივ მთის მდინარეში ბკვიან, ორიგინალურ ფშაველ მწერალთან ერთად“. 29 ივნისს გ. ბონჩ-ოსმოლოვსკი ვაჟა-ფშაველასთან ერთად ლაშარობას ფაფარებია. სწორედ აქ არის გადაღებული მის მიერ ეს ფშვიათი ფოტოსურათი. ამ მომენტის აღწერისას მოგზაურს ერთი უზუსტობა მოსვლია — ლაშარისა და თამარ მეფის ხალოცავ ბატებს მონასტრად თუ ტაძრად იხსენებს.

იმდროინდელი ნეგატივი ფოტოსურათი და გ. ბონჩ-ოსმოლოვსკის დღიურები მის ქვირივს ნ. ტაგეევას საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმისათვის გადაუცია. ამჟამად მწერლის უცნობი ფოტოსურათი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილებაშია დაცული. ვფიქრობთ, ამ პუბლიკაციით დაინტერესებიან როგორც ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის, ისე ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარები.

დ. ცინცაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

• • •

სურათზე: ზემოთ — ახლად აღმოჩენილი ვაჟა ფშაველას უცნობი ფოტოსურათი; ქვემოთ — ამავე ფოტოსურათის ფრაგმენტი.

საუბრა მეფიდღიანობის ბრძოლაში

ქართველი მხატვრის წარმატება

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის რიგალნახულმა საგამოფენო დარბაზებმა ამას წინათ, როგორც ცნობილია, მხატვარ სატირიკოს-კარიკატურისტ ეკა ტეას უმასპინძლა. ამ აოჩვეულებრივი გამოფენის დეკანი გახლდათ „სატირა“ მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

გამოფენაზე, რომელიც ოფიციალურად დამკვიდრდა, თავიანთი ნამუშევრები წარადგინეს მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მხატვრებმა. და მით უფრო საინტერესოა, რომ მასში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრები — თბილისელი გივი ლომაძე და ბათუმელი ელადიმერ ეგიზარიანი.

გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, მხატვართა აკადემიის, ჟურნალისტთა კავშირის, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და მშვიდობის საბჭოთა ფონდის წარმომადგენლები ამ მოვლენას სპეციალური გაზეთი-კატალოგი მიუძღვნა. აქ დაბეჭდილია ჟან ეფელის (საფრანგეთი), ჰ. ბიდსტრუპის (დანია), კუჯინიჯესების, ბორის ეფიმოვისა და სატირის სხვა ცნობილი ოსტატების ნამუშევრები, მათ შორის **ფიგი ლომაძის** — „კვაპროსმპრელი“. ამასთან ქართველი მხატვრის მიერ გამოფენაზე წარდგენილ ხუთივე ნამუშევარს წარმატება ხვდა, რისთვისაც გივი ლომაძეს დაჯილდოვეს საერთაშორისო ჟიურის ბრინჯაოს მედლით — „სატირა-77“.

უკითხეთ

გუშინ 13 საათზე მთელ საქართველოში მზიანი, მშრალი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სიცხე — 22 გრადუსი გალში აღინიშნა. დანარჩენ დაალო რაიონებში 21-22, ძირითადი 15-20 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 19-21, მთებში 12-16 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 22 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი ღრუბლიანობა, სანაპირო რაიონებში მცირე წვიმა, დაბლობ რაიონებში 23-28, მთებში 15-20 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ძირითადი ამინდი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 19-24, მთებში 12-17 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი ღრუბლიანობა, უნალექოდ, ტემპერატურა 22-24 გრადუსი.

სცენაზეა ელადის ხელოვნება

„ამფითეატრი“ — ასე ჰქვია ათენის ახალგაზრდულ დრამატულ თეატრს, რომელიც დღეს, საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გასტროლებს იწყებს.

„ამფითეატრი“ 1975 წელს ახალგაზრდა ბერძენმა რეჟისორმა სპიროს ევანგელატოსმა ჩამოაყალიბა. 1940 წელს დაბადებულმა ათენელმა ბერძნული ეროვნული თეატრის დრამატული სკოლა და ათენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა, ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა თეატრის ისტორიას, თეატრალურ პრაქტიკას კი — ლონდონში, პარიზში, დასავლეთ ბერლინში, მილანში, საბერძნეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში. ევანგელატოსმა დადგა ოთხმოცამდე სპექტაკლი, სოფოკლეს, ევრიპიდეს, არისტოფანეს, შექსპირი, კალდერონი, მოლიერი, იბსენი, სტრინდბერგი, პირანდელო, ბრეხტი, იონესკო, აი ავტორები, რომელთა [illegible] პიესებს უფრო ხშირად დადგამ[illegible] ინტერესებია ახალგაზრდა ბერძენი [illegible] ჟისორი.

თანამედროვე ხელოვნებისადმი გულისყურმა გადააწყვეტინა ევანგელატოსს შეექმნა „ამფითეატრი“, რომელშიც ცდილობს შეუხამოს ერთმანეთს თანამედროვე მსოფლიო თეატრის გამომსახველობითი საშუალებები და ახალბერძნული თეატრალური ესთეტიკა.

თეატრის სახელწოდება თითქოს განსაზღვრავს მის შემოქმედებითს პროგრამას — „ამფი“, ანუ ახლოს, ყოველმხრივ, და თეატრი ესე იგი თეატრი ყველასთან ერთად, თანამედროვე მოვლენათა შუაგულში...

სპეციალური ინფორმაცია

ეროვნულ „ეროტოკრიტოს“-ს [illegible] თბილისელები ნახავენ ექვს, შვ[illegible] და რვა ამრელს, ცხრა და ათ ა[illegible] [illegible] ჰომერ[illegible] [illegible] ბაბაევ[illegible] [illegible] ბერძენ[illegible] [illegible] ბერძენ[illegible] [illegible] ბერძენ